საქართველოს მთავრობის

დადგენილება

№599 2016 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

„საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/09/2014, 010320000.10.003.018196) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის“ (დანართი №1) მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13

1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე;

ბ) მინისტრის მოადგილე.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა:

ა) დეპარტამენტის დირექტორი;

ბ) დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

გ) მინისტრის აპარატის უფროსი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა:

ა) დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი;

ბ) აპარატის სამმართველოს უფროსი.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა:

ა) მთავარი სპეციალისტი;

ბ) სპეციალისტი.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 31 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**